

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ქალბატონ ნინო ჯანელიძეს,

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ, ჩემი საკრებულოს წევრად არჩევის დღიდან დღემდე (20.11.2017-15.05.2018წწ) აქტიურად ვმონაწილეობ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეულის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაში. მაქვს აქტიური კომუნიკაცია ჩემი სოფლის მოსახლეობასთან, ვიცნობ ყველა უბნის პრობლემებს და მაქსიმალურად ვბუძნობ მათი აღმოფხვრის გზებზე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაპროფილდა 0,8 კმ გზა. განხორციელდა გზებზე სანიაღვრე არხების მოწყობა-გაწმენდა 450მ, საადგომოდ სოფელში არსებულ სასაფლაოებზე მისასვლელელებზე შემოტანილი და დაპროფილებული იქნა 72 კმ.მ ინერტული მასალა.

ამჟამად ზედა სიმონეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაგეგმილია სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. შეიცვლება მაგისტრალური მილსადენი 14,5 კმ. აღნიშნული პროექტი უკვე შედგენლია, გაიარა ექსპერტიზა და ველოდებით გამარჯვებული კომპანიის გამოვლენას.

ამ მოცემულ პერიოდში მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ ერთეულში და ჩემი ერთობლივი რეკომენდაციით სოფლის მაცხოვრებლებზე თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური პროგრამებიდან გაიცა:

1. მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამით დაკმაყოფილდა 20 ოჯახი და არ დაკმაყოფილდა 3.
2. ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამით დაკმაყოფილდა 0 ოჯახი.
3. სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ერთჯერადი პროგრამით დაკმაყოფილდა 18 მოქალაქე.
4. მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების პროგრამით დაკმაყოფილდა 6 მოქალაქე.
5. უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტით დახმარების პროგრამით დაკმაყოფილდა 8 მოქალაქე.
6. საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფილია 1 ოჯახი.
7. დიალექსის პროგრამაზე მყოფი 1 მოქალაქე
8. უსინათლოთა პროგრამაზე 3 მოქალაქე.
9. პარკისონით დაავადებული 1 მოქალაქე.

სოფელში ისევ პრობლემად რჩება ნარჩენების ურნების შემოტანა. ამჟამად მოთხოვნილი გვაქვს 15 ნარჩენების ურნის განთავსება. სოფელში გარე განათების მოწყობა 20 ერთეული. სოფლის ცენტრთან სასაფლაოზე მისასვლელი ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა 400მ, რომელთა მოგვარებაზე მერიის წარმომადგენლებთან მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.

ვარ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა კომისიის და განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი, სადაც აქტიურად ვარ ჩართული ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში. ჩემი უშუალო მონაწილეობით გასწორდა და სრულყოფილი სახე მიიღო კომისიებზე განსახილველად შემოსულმა საკითხებმა, რაც ეხება მუნიციპალიტეტში მოქმედ სოციალურ პროგრამებსა და აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ჩემი აქტიური ჩართულობით და მუშაობით მნიშვნელოვანი წვლილი შემაქვს, როგორც სოფლის პრობლემების მოგვარებაში, ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში.

პატივისცემით

გიორგი ქასრაშვილი

